

**საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამეთვალყურეო საბჭოს შექმნისა და
სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის (პრეზიდენტი) შერჩევის მიზნით კონკურსის
გამოცხადების შესახებ**

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ მე-17¹ მუხლის პირველი პუნქტის, სტუ-ის აკადემიური საბჭოს 2019 წლის 10 დეკემბრის =01-05-04/390 დადგენილებისა და სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) 2019 წლის 18 დეკემბრის №01-06-02/10 ოქმის საფუძველზე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითმა საბჭომ (სენატი) დაადგინა:

1. შეიქმნას საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამეთვალყურეო საბჭო.
2. სტუ-ის აკადემიური საბჭოს 2019 წლის 10 დეკემბრის =01-05-04/390 დადგენილებით დამტკიცებული „სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის (პრეზიდენტი) და წევრთა არჩევის წესის, კრიტერიუმების და მათი თანამდებობიდან გათავისუფლების საფუძვლების“ შესასამისად გამოცხადდეს კონკურსი სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის (პრეზიდენტი) შერჩევის მიზნით.
3. სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარედ (პრეზიდენტი) შეიძლება აირჩეს აკადემიურ წრეებში ცნობილი, მაღალი რეპუტაციის მქონე მეცნიერი/მკვლევარი, რომელსაც აქვს სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის ანაკლებ 15 და ორგანიზაციული მართვის არანაკლებ 10 წლის გამოცდილება.
4. სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის (პრეზიდენტი) კანდიდატის ინიცირების უფლება აქვს:

- უნივერსიტეტის ძირითად საგანმანათლებლო ერთეულს;
 - უნივერსიტეტის დამოუკიდებელ სამეცნიერო-კვლევით ერთეულს;
 - უნივერსიტეტის აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის არანაკლებ 10-კაციან საინიციატივო ჯგუფს;
 - წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) წევრს;
 - კანდიდატობის მსურველს.
5. სტუ-ის წარმომადგენლობითმა საბჭომ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის (პრეზიდენტი) კანდიდატურის შერჩევა და აკადემიური საბჭოსათვის წარდგენა უზრუნველყოს არაუგვიანეს ერთი თვის ვადაში, 2020 წლის 17 იანვრამდე.
 6. სტუ-ის წარმომადგენლობით საბჭოში სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის (პრეზიდენტი) კანდიდატურის წარდგენა განხორციელდეს 2019 წლის 19 დეკემბრიდან და გაგრძელდეს 20 დღის განმავლობაში.
 7. კონკურსში მონაწილეობისათვის წარმოსადგენი დოკუმენტაცია:
 - ა) განცხადება წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) სახელზე;
 - ბ) დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტის დედანი და ასლი;
 - გ) სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტი;
 - დ) ორგანიზაციული მართვის გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტი;
 - ე) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
 - ვ) ავტობიოგრაფია (CV), გამოქვეყნებული სამეცნიერო შრომების მითითებით;
 - ზ) 2 ფოტოსურათი, ზომით 3X4-ზე.
 8. ამ დადგენილების მე-6 პუნქტში მითითებული ვადის ამოწურვის შემდგომ სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭო ადგენს კანდიდატობის მსურველთა მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობას, ახდენს მათთან გასაუბრებას და ინდივიდუალურად, ღია კენჭისყრით, დამსწრე წევრთა უმრავლესობით შერჩეულ კანდიდატს წარუდგენს აკადემიურ საბჭოს.
 9. დადგენილება ძალაშია უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნებისთანავე.
 10. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, =6.

სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი)

სპიკერი, პროფესორი

ჯემალ გახოკიძე